TBILISI MEDICAL ACADEMY
MEDICINE STARTS HERE

დამტკიცებულია რექტორის საბჭოს მიერ 2023 წლის N140 ოქმით

სტუდენტთა საკონსულტაციო სერვისები და მხარდაჭერის მექანიზმები

პეტრე შოთაძის სახელობის თბილისის სამედიცინო აკადემიის მიზანია სტუდენტებს შეუქმნას მათი მოთხოვნების და საჭიროებების შესაბამისი სასწავლო გარემო. თსა-ს როგორც **სტუდენტზე ორიენტირებულ ინსტიტუციას,** შემუშავებული აქვს სტუდენტთა აკადემიური, ფსიქოლოგიური და კარიერული მხარდაჭერის მექანიზმები და სერვისები.

1.სტუდენტური სერვისები

თსა-ს ინსტიტუციური კულტურის განვითარების დეპარტამენტის შემადგენლობაშია სტუდენტთა საკონსულტაციო და კურსდამთავრებულებთან ურთიერთობის სამსახურები. სტუდენტთა საკონსულტაციო სერვისი მოიცავს მენტალური ჯანმრთელობის (ფსიქოლოგის მომსახურების სერვისი) და კარიერული განვითარების სერვისებს, რომლის მიზანია სტუდენტების ფსიქო-ემოციური თუ სოციალური პრობლემების მოსმენა, გაზიარება და მათ მოგვარებაში დახმარება.

ფსიქოლოგის მომსახურების სერვისის მიზანია უზრუნველყოს:

- სტუდენტთა საჭიროების მიხედვით, ფსიქოლოგიური კონსულტაციის გაწევას, მხარდაჭერას სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად;
- სტუდენტების ფსიქო-ემოციური პრობლემის იდენტიფიცირების შემდეგ შესაბამის სპეციალისტთან გადამისამართებას;
- ფსიქოლოგიის მიმართულებით, კურიკულუმის გარეშე დაგეგმილი აქტივობების და სტუდენტური ინიციატივების ხელშეწყობა, მხარდაჭერა, მენტალურ ჯანმრთელობისა და პრევენციის თემატიკაზე;
- ფსიქოგანათლების კუთხით სტუდენტებთან შეხვედრების თემატიკის შერჩევა, დაგეგმვა, ორგანიზებას;

სტუდენტთა კარიერული მხარდაჭერის სამსახურის მიზანია სტუდენტების დახმარება პროფესიული მიზნებისა და ქმედებების დაგეგმვაში, რასაც ის ახორციელებს სამეცნიერო-კვლევითი და დოქტორანტურის დეპარტამენტთან ერთად.

სტუდენტთა კარიერული მხარდაჭერა ხორციელდება 4 მიმართულებით:

1. <u>კარიერული განვითარების კუთხით სტუდენტებისთვის კონსულტაციის გაწევა, რაც მოიცავს:</u>

- საკვალიფიკაციო გამოცდების შესახებ ინფორმაციის მიწოდებას;

- სტუდენტების მხარდაჭერას საზღვრებს გარეთ კარიერული განვითარების მისაღებად (მათ შორის, ამერიკის შეერთებული შტატების სამედიცინო ლიცენზირების გამოცდების, ინდოეთის სამედიცინო საბჭოს სალიცენზიო გამოცდების შესახებ) რეგულაციების გაცნობას და ინფორმაციის მიწოდებას;
- სტუდენტებისთვის დახმარების გაწევას სწავლის, მუშაობის ან/და სტიპენდიების მოპოვების მიზნით სასწავლო აპლიკაციების მომზადებაში, სამოტივაციო წერილების შედგენაში, რეზიუმეს დახვეწაში;
- თსა-ს მიღმა არსებული და ახალი აკადემიური, მათ შორის სადოქტორო, პროგრამების და შესაძლებლობების შესახებ სტუდენტებისთვის ინფორმაციის მოძიებასა და გაზიარებას;

2. <u>პოტენციურ დამსაქმებლებთან (კლინიკები, სადაზღვევო კომპანიები, საზოგადოებრივი ჯანდაცვის პროფილის, ბიოსამედიცინო და საზოგადოებრივი ჯანდაცვის კვლევითი პროფილის სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციები) კომუნიკაციას, რაც მოიცავს:</u>
- დასაქმების ფორუმების ორგანიზებას, სადაც პოტენციური დამსაქმებლები, მათ შორის, კლინიკები, წარმოადგენენ ინფორმაციას სტუდენტთა კომპეტენციების შესაბამის ვაკანსიებზე;
- პოტენციურ დამსაქმებლებთან სტაჟირების და/ან "სამუშაო პრაქტიკის" პროცესის ორგანიზებას
- პოტენციური დამსაქმებლების მონაცემთა ბაზის შექმნას და მუდმივ რეჟიმში განახლებას;

3. <u>თსა-ს კურსდამთავრებულების (ალუმნი) კლუბის გაძლიერებას, სტუდენტებისთვის სამომავლო კარიერული განვითარების ხელშეწყობის მიზნით, რაც მოიცავს:</u>
- თსა-ს კურსდამთავრებულების მიერ სტუდენტებისთვის კლინიკურ გარემოში პრაქტიკის გავლის საშუალების უზრუნველყოფას;
- თსა-ს კურსდამთავრებულების მიერ სტუდენტებისთვის კლინიკურ და საზოგადოებრივი ჯანდაცვის კვლევებში მონაწილეობის მიღების საშუალების მიცემას;
- სტუდენტებისთვის მენტორობის (თავის სპეციალიზაციაში პროფესიული რჩევების მიცემა) გაწევას;

4. <u>კვლევითი მიმართულებით პროფესიული განვითარების ხელშეწყობას, რაც მოიცავს:</u>
- სტუდენტების დაკავშირებას თსა-ს აკადემიურ პერსონალთან კვლევითი კომპეტენციების განვითარების ხელშეწყობის მიზნით სტუდენტებისთვის ვორქშოპების და ტრენინგების ჩატარებას კვლევის მიმართულებით უნარების განვითარების ხელშეწყობისთვის;
- ტრანს-დისციპლინურ პროექტებში/კვლევებში სტუდენტების ჩართვას, და მათთვის ახალი უნარების განვითარების ხელშეწყობას (ფოტოგრაფია, ამბის თხრობის ტექნიკა);
- სტუდენტებისთვის ინფორმაციის მიწოდებას კვლევის მიმართულებით კარიერული შესაძლებლობების შესახებ;

კურსდამთავრებულთა კლუბი

თსა-ში ფუნქციონირებს კურსდამთავრებულთა კლუბი, რომლის მიზანია გააერთიანოს თსა-ს კურსდამთავრებულები, სტუდენტები და ადმინისტრაციული პერსონალი, ხელი შეუწყოს სოციალური და პროფესიული კავშირების ჩამოყალიბებას და განვითარებას კლუბის წევრებს შორის, კურსდამთავრებულთა ისტორიების პოპულარიზაციას ბლოგებით და სოციალური მედიის სხვა არხებით. კურსდამთავრებულთა ჩართულობით ტარდება ცნობიერების ამაღლების კამპანიები,იწერება აუდიო პოდკასტები, სადაც ისინი აზიარებენ თავიანთ კარიერულ გამოცდილებასა და პროფესიული რჩევებს.

2. სტუდენტის მხარდაჭერის მექანიზმები

თსა სტუდენტების უფლებებისა და მოვალეობების გაცნობის, გარემოში მარტივად ადაპტაციისა და თსა-ს მიერ შეთავაზებული რესურსებით სრულად სარგებლობის მიზნით სთავაზობს შემდეგს:

- პირველკურსელ სტუდენტებს სასწავლო წლის დაწყებიდან ორი კვირის განმავლობაში უტარდებათ საორიენტაციო შეხვედრები, რომელიც ძირითადად გულისხმობს შემდეგს:
- თსა-ს მისიის, მიზნების, ამოცანების და სტრატეგიის გაცნობა;
- სტუდენტის უფლება-მოვალეობების გაცნობა;
- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი დოკუმენტების ძირითადი დებულებების გაცნობა და ინფორმირება მათი ხელმისაწვდომობის შესახებ;
- სტუდენტის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გათვალისწინებით სხვადასხვა მხარდამჭერი ღონისძიებების (მაგ., სტიპენდია, სწავლის გადახდის მოქნილი გრაფიკი და სხვ.) შესახებ ინფორმაციის მიწოდება;
- სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემით სარგებლობის წესების გაცნობა;
- კარიერული მხარდაჭერისა და საკონსულტაციო მომსახურების შესახებ ინფორმაციის მიწოდება;
- ინფორმაციის მიწოდება ბიბლიოთეკაში პერიოდულად მიმდინარე საორიენტაციო შეხვედრების შესახებ;
- ინფორმაციის მიწოდება იმის თაობაზე, რომ თსა-ს ვებგვერდი წარმოადგენს ოფიციალური ინფორმაციის გავრცელების საშუალებას/წყაროს;
- **თანატოლთა სწავლების პროგრამა (Peer to peer learning club)** სტუდენტ-ტუტორებს აქვთ საშუალება თანატოლებს გაუზიარონ მათი გამოცდილება და დაეხმარონ სასწავლო კურსის თუ გამოცდების მომზადებაში.